

# იკებანა

## ტრადიცია და შემოქმედება ფლორის ხელოვნებაში

### რა არის იკებანა?



ყვავილების არანჟირება მიჩნეულია შემოქმედებით მიღწევად, რომლითაც ადამიანი თავისუფალ დროს არის დაკავებული. (ფოტო AFLO-სგან)

რომელიც გაავსებდა საგამოფენო დარბაზებს. მრავალრიცხოვან თანამედროვე სახეობებთან ერთად, იკებანა აგრძელებს ტრადიციული ფორმების შესწავლას და განვითარებას. იკებანა, რომელიც ასევე ცნობილია სახელით კადო, რაც ნიშნავს ყვავილების გზას, ასევე გამოიყენება მედიტაციის საშუალებად სხვადასხვა დროის, სეზონისა თუ ცვლილებების გარდამავალ ეტაპზე. მისი რელიგიური წარმომავლობა და ძლიერი კავშირი ბუნებრივ ციკლთან, როგორცაა დაბადება, გაზრდა, დაბერება, ხელახლად მოვლინება და ა.შ., იკებანას ღრმა სულიერ რეზონანსს ანიჭებს.

სიტყვა იკებანა ჩვეულებისამებრ ითარგმნება, როგორც „ყვავილთა არანჟირების“ იაპონური ხელოვნება. იკებანას მასალა შეიძლება იყოს ახლად მოჭრილი ტოტები, მხვიარა მცენარეები, ფოთლები, ბალახი, კენკრა, ხილი, თესლი და ყვავილები, დამჭკნარი და გამხმარი მცენარეები. იკებანაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ბუნებრივი მასალა. ამ უკანასკნელთან ერთად, თანამედროვე ეპოქაში ასევე გამოიყენება მინა, მეტალი და პლასტმასი. იაპონიის ერთერთმა ტრადიციული ხელოვნების ჟანრმა, იკებანამ, შეიძინა სიმბოლური და დეკორატიული დატვირთვა და ბუნებრივი, ეფემერული ყვავილებისა და ტოტების მეშვეობით დროის სივრცე თავისი კომპოზიციების განუყრელ ნაწილად აქცია. იკებანასთვის არსებითად მნიშვნელოვანია: ურთიერთკავშირი მასალებს შორის, მისადაგების სტილი, სათავსოს ან საყვავილის ზომა, ფორმა, მოცულობა, ფერი და აგებულება და ამასთან მისი განთავსების ადგილი და დრო. იკებანას ხუთასწლიანი ისტორიის მანძილზე არსებობდა ფორმების ფართო ასორტიმენტი, დაწყებული მოკრძალებული სახლის დეკორაციებიდან დამთავრებული უზარმაზარი პეიზაჟებითა და სკულპტურული ნამუშევრებით,

## წარმოშობა და განვითარება



### იკენობოს სკოლა

ყვავილთა შეხამების ეს სკოლა დაარსდა XV საუკუნეში იკენობო სენკეის მიერ. იგი იაპონიაში არსებულ სკოლებს შორის ყველაზე ძველია. ფოტოზე გამოსახულია დღევანდელი იკენობოს სკოლის დიდოსტატის, იკენობო სენკეის კომპოზიცია, რომელიც ახლანდელი იკენობოს სკოლის ხელმძღვანელია (იკენობოს ფოტოებიდან)

იკებანას განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა უძველესი იაპონიის ბუნებრივი პეიზაჟების მრავალფეროვნებამ და ცხოვრების სამიწათმოქმედო სტილმა. გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ბუდიზმის შემოსვლამ ჩინეთიდან VI საუკუნეში და *კუგემ*, ყვავილების მირთმევის ტრადიციამ ბუდასა და მიცვალებულის სულებისთვის. თავდაპირველად მისართმევი ყვავილები წარმოდგენილი იყო უბრალო კომპოზიციით (სიმეტრიულად განლაგებული სამი ღერო) მაგრამ შემდეგ, ადრეულ XVII საუკუნეში ის გვხვდება, როგორც *რიკკა*, რაც სიტყვასიტყვით „ფეხზე მდგომ ყვავილებს“ ნიშნავს და პირველად შეიქმნა ბუდისტი ბერების მიერ იკენობოს სკოლაში. ეს ოსტატურად დამუშავებული ხელოვნების ფორმა წარმოდგენილი იყო ბრინჯაოს ლარნაკებში და შესრულებული იყო უმაღლესი ტექნიკური ოსტატობით. მთავარი ტოტი იყო სიმბოლო სამოთხისა ან სიმართლისა; ასიმეტრიული, რომელიც ხან მარჯვნივ იხრებოდა ხან მარცხნივ ისე, რომ თავით შეხებოდა ცენტრალურ ვერტიკალურ ღერძს. დანარჩენი ტოტები ყველა თავის სიმბოლურ მნიშვნელობასა და დეკორატიულ ფუნქციას ატარებდა, რაც წარმოსახვის სფეროს ცენტრალური ნაწილიდან მომდინარეობდა. მთლიანად რიკკას კომპოზიცია წარმოდგენილი იყო როგორც მიკროკოსმოსი, რომელიც სრულ პეიზაჟის სურათთან ერთობლიობაში მთლიან სამყაროს განასახიერებდა.

*რიკკასგან* სრულიად განსხვავებულ, მარტივ სტილს ეწოდებოდა *ჩიაბანა* ანუ ჩაის ყვავილები, რომელიც ჩაის ცერემონიის (*ჩიანოიუ*) შემადგენელი ნაწილი იყო XVI საუკუნეში. *ჩიაბანამ* სათავსოში განთავსებული ორიოდე ყვავილითა და ტოტით დასაბამი მისცა ნაგეირეს სპონტანურ სტილს, რომელიც ქართულად ნიშნავს ჩაგდებას, რომელიც მზადდებოდა სხვადასხვა მასალით და იყენებდა ნატიფ ტექნიკურ საშუალებებს ბუნებრივი სილამაზის მარტივი პოეტური განსახიერებისთვის. *რიკკა* და *ნაგეირე* ერთგვარ კონტრასტს განსაზღვრავდნენ *იკებანას* თანმიმდევრულ ისტორიაში. ერთის მხრივ აქცენტი იყო გაკეთებული გულმოდგინედ შესრულებულ ტექნიკურ მხარეზე, უდიდეს მასშტაბზე და ფიქსირებულ სტილზე და მეორეს მხრივ, შეინიშნებოდა სპონტანურობა, უბრალოება, დამაფიქრებლობა, პატივისცემა თავად გამოყენებული მასალის ბუნებრივი თვისებებისადმი.

ედოს პერიოდში (1603 – 1868 წწ.) იაპონიაში სიმშვიდე და მყარი ეკონომიკური ზრდა შეინიშნებოდა. იკბანა, ერთ დროს ექსკლუზიური ცოდნის დარგი მხოლოდ ბუდისტური ბერების, კარის წარმომადგენელთა და არისტოკრატებისთვის, ამ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა სამურაის კლასის, მდიდარი ვაჭრებისა და სხვათა მიერ, ქალების ჩათვლით. ამ დროს უფრო ხისტი და ოფიციალური გახდა რიკვა სტილი და მალე მის ნაცვლად დიდი აღიარება და პოპულარობა ჰპოვა უფრო სადა სტილმა, რომელიც *სეიკა* ან *შიოკაად* (ორივე იწერება ჩინური სიმბოლოებით) იწოდებოდა და რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ცოცხალ ყვავილებს. მაშინ როცა სეიკა გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებდა ფორმალურ იერს, სამი ტოტით/ღეროთი ქმნიდა მარტივ კომპოზიციას ასიმეტრიულ სამკუთხედზე, ბევრი ახალი სკოლა ეწეოდა საკუთარი დამოუკიდებელი ვერსიების პოპულარიზაციას, მაგრამ სამი ტოტის/ღეროს (*ტენ* (სამოთხე), *ჩი* (მიწა) და *ჯინ* (აღამიანი)) კომპოზიციათა ვარიაციები დაედო საფუძვლად ყველა სკოლის იკებანის მომზადების ინსტრუქციებს.

იგივე პერიოდის შემდეგი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო *ბუნჯინ-ბანა*, რომელიც ნიშნავს ერუდიტულ შეხამებას. კერძოდ, მასში აისახებოდა ჩინელი მეცნიერებისა და მხატვრების ხედვა და მგრძნობელობა. მან დიდი გავლენა მოახდინა *ნაგეირეს* სტილზე, რომელიც თავად ჩიბანადან წარმოიშვა. რადგან *ბუნჯინ-ბანა* გამოიყენებოდა ინდივიდუალური შემეცნების გამოხატვის ფორმად, მას არ ჰქონდა სისტემური და საყოველთაო ხასიათი, როგორც *რიკვისა* და *სეიკას*. ჩინურმა წარმომობამ *იკებანას* შეჰმატა ფერთა ახალი გამა და წიგნიერების ნიუანსი.

### თანამედროვე იკებანა



#### ოჰარას სკოლა

ფოტოზე წარმოდგენილი ნამუშევარი გახლავთ პეიზაჟის აღწერის ტრადიციული მეთოდის ნიმუში, რომელიც განთავსებულია გადაფრიალებულ გამჭვირვალე კონტეინერში ანუ სუიბანში. მხოლოდ ლოტოსები გამოიყენება ზაფხულში წყალსატევის შორეული ხედის იმიტაციის მიზნით. (ოჰარარიუს ფოტოებიდან)

იაპონიის კარის გაღებამ დასავლეთისთვის მეიჯის პერიოდში (1868–1912 წწ.) დიდი ცვლილებები მოიტანა ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. *იკებანაში* ამ სტილს ერქვა *მორიბანა*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავდა მოგროვებულ ყვავილებს. მისი შემქმნელი იყო ოჰარა უშინი (1861–1916 წწ.), ოჰარას სკოლის ფუძემდებელი, რომელმაც რევოლუციურად გარდაქმნა *იკებანას* ხელოვნება. მაშინ როდესაც ძველ ტრადიციულ სტილში მასალა მოგროვებული იყო ერთ ადგილზე კონტეინერში, ოჰარა სხვადასხვა სახეობის მასალას ისე განალაგებდა, რომ მოჭრილი მცენარეები სათავსოს მთელ ზედაპირზე ყოფილიყო განფენილი. ამ ფართე და წყლით ნაკლებად ავსებულ კონტეინერებს ერქვა *სუიბანი* ანუ წყლის თასი. იგი გამოყენებული იყო მხოლოდ ახალი, იმპორტირებული მასალებისთვის, რომელიც ვერ მოთავსდებოდა

ტრადიციულ სათავსოებში. არსებობდა პეიზაჟის სტილი *შიაკეი*, რომელიც ასახავდა ბუნებას უფრო ნატურალისტურად, ვიდრე სიმბოლურად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური ამ მიმართულებით იყო ადაჩი ჩიოკა (1887– 1969 წწ.), რომელმაც შემოიღო *მორიბანა* და უწოდა თავის ნამუშევარს „დეკორაცია“. ინოვაციების შექმნა განაგრძო ბევრმა ახალმა თანამედროვე სკოლამ. მაგალითად, ტეშიგაჰარა სოფუს (1900–1979 წწ.) მიერ დაარსებულმა სოგეცუს სკოლამ პოპულარიზაცია გაუკეთა *იკებანას*, როგორც თანამედროვე ხელოვნებას, რომელმაც უნდა წახალისოს თავისუფალი, კრეატიული გამოხატვის უნარი. ომის შემდგომ პერიოდში ავანგარდულმა ნაწარმოებებმა (*ძენ ეიბანა*) გაზარდეს *იკებანას* გამოხატველობითი შესაძლებლობები, აბსტრაქტული, სკულპტურული და სიურეალისტური მიდგომების გამოყენებით; გააფართოვეს ქმნილებათა მასშტაბები და უფრო განავრცეს გამოსაყენებელი მასალის მრავალსახეობა. გარდა ამისა, ტრადიციული სკოლები, როგორც იყო იკენობო, ინარჩუნებდნენ რა თავიანთ ძველ კლასიკურ სტილს, დამატებით ქმნიდნენ *რიკკასა* და *სეიკას* ახალ ვერსიებს; ახალ მიდგომებს ამატებდნენ ამ სკოლათა ინსტრუქციებს, მათ შორის აღსანიშნავია *მორიბანა*.



**სოგეცუს სკოლა**

სოგეცუს მცენარეთა შეხამების ხელოვნებაში იყენებენ ფართო სპექტრის ფორმიან მასალას, ეს უდიდესი მასშტაბის ნამუშევარი სახელად “*乾坤 春*” (კანკონშიუნ) შეიქმნა ტეშიგაჰარა სოფუს მიერ, რომელმაც დააფუძნა სოგეცუს სკოლა. ნაშრომის სიგანე დაახლოებით 10 მეტრია და მოიცავს ხის ჯირკვებსა და ვისტერიის ხეივანს. (სოგეცუს ფონდის/ ფუჯიმორი ტაკეშის ფოტოებიდან)

*იკებანას* სკოლის თანამედროვე საასპარეზო მოედანზე ლიდერობს სამი დიდი სკოლა – იკენობო, ოჰარა და სოგეცუ. თითოეული მათგანი მილიონობით წევრს ითვლის, მაგრამ არის აგრეთვე ათასობით სხვა დიდი და პატარა სკოლა. დიდმა სკოლებმა შექმნეს საგნები და სასწავლო ჯგუფები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1956 წელს, ტოკიოში დაარსდა „*იკებანა ინტერნაციონალი*“,

სამეურვეო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს უამრავი *იკებანას* სკოლის ინტერებსა და ხელოვნების ამ სახეობას უწევს პოპულარიზაციას გლობალური მასშტაბით.

იაპონიაში ძალიან ბევრი ჩვეულებრივი ადამიანი აკეთებს *იკებანას*, რომელთაც არაფერი აკავშირებთ *იკებანას* რომელიმე სკოლასთან; უბრალოდ, ეს მათი ცხოვრების სიღრმისეული ნაწილია. ისინი მცენარეების შეხამებებით რთავენ სახლებს და იყენებენ სპეციფიკურ მასალას გარკვეული სეზონური დღესასწაულების გასალამაზებლად. მაგალითად, მარადმწვანე ფიჭვს, რომელიც არის მიჩნეული მარადიულობის სიმბოლოდ, ახალ წელს უხამებენ ბამბუკს, რომელიც არის ახალგაზრდული მოქნილობის სიმბოლო ან გარგარის აყვავებულ ტოტებს, რომელიც წარმოადგენს სიდარბაისლისა და მოხუცი ასაკის სიმბოლოს. 3 მარტს იმართება თოჯინების ფესტივალი *ჰინა მაცური*, რომელსაც სხვანაირად გოგონების ფესტივალს უწოდებენ. ამ დროს აყვავებული ატმის ტოტებით ირთვება ტრადიციული თოჯინები. იაპონური ზამბახები, რომელიც მამაკაცური ძლიერების სიმბოლოა, გამოიყენება 5 მაისს, ბავშვთა დღეს. ბამბუკები

არის დეკორაციის ერთერთი შემადგენელი ნაწილი ტანაბატას ანუ ვარსკვლავურ დღესასწაულზე. ეს უკანასკნელი იმართება 7 ივლისს. შემოდგომის დღესასწაულების ტიპიური მასალა კი არის პამპასის ბალახები, რაც ტრადიციისამებრ გამოიყენება სექტემბერში, სავსე მთვარის ცქერით ტკბობის ანუ *ცუკიმის* დღესასწაულის დეკორაციებში.

## ძირითადი მიდგომები და ტექნოლოგიები

მცენარე საჭიროებს საკმარის წყალს, რომ მალე არ დაჰკნეს. მისი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არსებობს ბევრი ტექნოლოგია, როგორცაა: მცენარის ღეროს ძირების დაჭკყვა, მოხარშვა, დაწვა ან სხვადასხვა ქიმიკატების გამოყენება. ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის მცენარის ძირითადი ღეროს მოჭრა წყალქვეშ ანუ *მიძუგირი* და მისი დაუყოვნებლივ გამოყენება. იმისათვის, რომ შეუნარჩუნდეს სასიცოცხლო ძალები დამჭკნარ ყვავილებს და ფოთლებს, ღეროები იჭრება წყალქვეშ და იქვე რჩება სულ ცოტა 30 წუთის მანძილზე მაინც.

ყველაზე თანამედროვე *იკებანა* არის ორი სახეობის: *მორიბანა* და *ნაგეირე*. მაშინ როდესაც *მორიბანა* თავსდება პრიალა ზედაპირიან თითქმის გადაფრიალებულ კონტეინერში მცენარეების ნემსის თავებიანი დამჭერის ანუ *კენძან-ის* *საშუალებით*, *ნაგეირეს* კომპოზიცია იდგმება მაღალ ლარნაკში, სადაც კომპოზიციის მასალები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებითაა განლაგებული.


როდესაც იყენებენ *კენძან-ს*, მოჭრილი სქელი ტოტების/ღეროების ძირებს ჭრიან დიაგონალზე, მათი გადაჭრის ადგილზე სიგრძეზე ხლეჩენ ისე, რომ შეიძლებოდეს ამ გახლეჩილი ადგილებით მისი ადვილად მოთავსება ნემსის თავებიან დამჭერზე. ყვავილები და ზოგიერთი მასალა, რომელთაც აქვთ რბილი ღეროები, უმჯობესია ჰორიზონტალურად დაიჭრას, ისინი თავსდება კენძან-ის ზემოთ ამოშვერილ ნემსებზე პირდაპირ და შემდეგ შეგვიძლია მისი გადახრა წინ, უკან ან ნებისმიერი მიმართულებით. ბალახების შემთხვევაში, რომელიც გაცილებით თხელია, ვიდრე *კენძან-ის* ნემსის თავები, მათ ძირებზე ვახვევთ იგივე ან სხვა მასალას მეტი სისქის მისაცემად, რაც იძლევა *კენძანზე* მისი ადვილად დამაგრების საშუალებას.

მაღალ ვაზაში ჩაწყობილი მცენარეების დახრილ მდგომარეობაში გაჩერების მეთოდის შემთხვევაში ანუ *ორიდომეს* დროს, იყენებენ სხვადასხვა მასალას; მცენარეების ტოტები ან სქელი ღეროები ეყრდნობა კონტეინერის ძირს, ღეროს მოხრილი ზედა ნაწილი თავსდება კონტეინერის შიდა ზედაპირთან, ძირი კი გადაჭიმულია ფსკერისკენ. მცენარის დამოუკიდებლად დგომის მეთოდი ანუ *კირიდომე* გამოიყენება სქელ ღეროებიანი ყვავილების შემთხვევაში. მათი ძირი იჭრება კუთხის ფორმით და ებჯინება ლარნაკის შიდა ზედაპირს. ვერტიკალური ჯვარედინი მეთოდის, *იოკო-ვარიდომეს* შემთხვევაში, ტოტის ძირი იხლიჩება ჰორიზონტალურად და საბრჯენი უმაგრდება მარჯვენა კუთხეში. იმისათვის, რომ ვისარგებლოთ ვერტიკალური საბრჯენის გამოყენების მეთოდით ანუ *ტატე-ვარიდომეთი*

ძირითადი ღეროს ძირი უნდა გავხლიჩოთ ვერტიკალურად, რასაც შემდეგ ჩავამაგრებთ ნემსის თავებიან დამჭერზე. რომლის ძირიც კონტეინერის ფსკერზე დგას.

### შესაფერისი კონტეინერის შერჩევა

იკვებანას კონტეინერად ნებისმიერი რამ შეიძლება იქნას გამოყენებული; იაპონელები ტრადიციულად ბრინჯაოს, კერამიკულ ლაქწასმულ ლარნაკებს, ზამბუკებსა და გამხმარ გოგრას იყენებენ. კონტეინერი არამარტო სათავსოდ გამოიყენება, არამედ ის წარმოადგენს ამ ხელოვნების განუყოფელ კომპონენტს.



როდესაც ვიყენებთ გადაფრიალებულ, გამჭირვალე თასს ანუ *სუიბანს*, საჭიროა წყლიანი ჭურჭლის ფაქიზად ხმარება ისე, რომ შენარჩუნდეს წყლის ზედაპირის არეკვლის უნარი და ზაფხულში სიგრილის შეგრძნება. თანამედროვე *იკვებანას* ხელოვნებაში კონტეინერი ასევე შეიძლება იყოს ფოლადის, მინის ან სხვადასხვა სინთეტიკური ნივთიერებებისგან დამზადებული, მაგრამ როდესაც არჩევანს ვაკეთებთ გამჭვირვალე შუმის ლარნაკზე, განსაკუთრებულად უნდა მივაქციოთ ყურადღება

კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც მოსჩანს ლარნაკიდან, რათა მცენარეთა შეხამების ძირი მოწესრიგებულად, შევსებულად და არა მეჩხრად გამოიყურებოდეს. მაღალი ლარნაკის გამოყენებისას, შევეცადოთ რომ არ ავავსოთ ის პირთამდე.

### ბუნებრივი სილამაზის წარმოჩენა

*იკვებანას* ხელოვნებაში ნებისმიერი მიმართულებით დაოსტატება მოითხოვს ხანგრძლივ პრაქტიკას კარგად განსწავლულ პედაგოგთან; არსებობს ბევრი საერთო წესი, რომელიც აღიარებულია ყველა სკოლის მასწავლებლის მიერ. სანამ მუშაობას შეუდგება, თავდაპირველად ხელოვანმა უნდა გააცნობიეროს, როგორ გამოიყურება მცენარეები გარეგნულად. როდესაც მცენარეებს მოაცილებენ ბუნებრივ წიაღს ან სათბურს ისინი ინარჩუნებენ თავიანთ უნიკალურ თვისებებს. მასალებზე დაკვირვებისას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიან ფორმას და არა მომხიბლავ დეტალებს. მაგალითისთვის ავიღოთ კამელიას ყვავილები, ამ ყვავილის თავად ღერო და ფოთლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყვავილები, რომელიც შეიძლება მოშორდეს და გამოყენებულ იქნეს ისეთ ადგილას, სადაც უფრო ეფექტური იქნება კომპოზიციის მთლიანი დიზაინის გათვალისწინებით. ტოტების მოლუნვამ შეიძლება მიანიჭოს მათ ლამაზი

მოხრილობა ან პირიქით, გამრუდებული ტოტები გაასწოროს. არასასურველი დეტალების მოშორების ხერხის ცოდნა ტოტებიდან არის მნიშვნელოვანი, ტოტებმა ხაზი უნდა გაუსვას სილამაზეს. ყვავილების მოცილება ალუბლის, ქლიავის და ატმის ტოტებისგან ემსახურება არა მარტო იმას, რომ გამოიკვეთოს კონტური, არამედ იმას, რომ უკეთესად დავინახოთ ტოტზე შემორჩენილი ყვავილების სილამაზე.

ყველა ბუნებრივი მასალა შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც კონტური, სახე, ფერი, ან ფონი. მაგალითად, დიდ ფოთოლს აქვს შესანიშნავი ზედაპირი, მაგრამ შეიძლება ის გამოყენებულ იქნას პროფილში კონტურის გამოსაკვეთად. თითოეულ ყვავილს ინდივიდუალური სახე გააჩნია, რომელიც *იკებანაში* უშუალოდ მისთვის განკუთვნილ მხარეს იმზირება. კერძოდ, ყვავილის მოთავსების დროს ხელოვანმა უნდა გაიაზროს რა არის უმჯობესი, ამ ყვავილის მნახველისკენ სახით, პროფილით თუ მისგან ზურგშექცევით დგომა. როგორც წესი, ყვავილები გამოიყენება თავის ფოთლებთან ერთად, მაგრამ ზამზახებისა და ნარცისების ფოთლებს ხშირად აშორებენ ყვავილის ღეროსგან, აერთიანებენ მათ მიერ განსაზღვრულ უფრო შესაფერის შეხამებებთან და მხოლოდ ამის შემდეგ უმატებენ ყვავილსაც, როგორც კომპოზიციის ერთერთ ელემენტს, რათა მიიღონ ისეთი იერი, რომელიც ერთდროულად „ბუნებრივიც“ არის და ეფექტურიც.